


ნაკადული 1998

ქართული
ბიბლიოთეკა



მაინც ვის უღიმის ჯოკონდა? ◆ გინვევთ
ფრანების ფესტივალზე ◆ გიორგი კანდელაკი
◆ კოლექციას გააჩნია ◆ ბოლნისის სიონი ◆



ნომრის შინაარსი

"თეთრი ტალღა" იმედიანი სახელია 1

"ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო 3

მაინც ვის უღიმის ჯოკონდა? (მოთხრობა) სიღონია ზაალიშვილი 4

როგორც ზამთარში... (ლექსი) გოდერძი ჩოხელი 8

ნება რას ვერჩით ქამელუნს? (ბუნების კარი) 9

გიწვევთ ფრანების ფესტივალზე 11

გიორგი კანდელაკი (სპორტი) 14

ჰომეროს პრაისის თავგადასავლები (მოთხრობა) რობერტ მაკლოსი 16

მოხდენილი, ნარნარი (რჩევები გოგონებს) 21

კითხვა-თქვენი, პასუხი-ჩვენი 22

კოლექციას გააჩნია 23

ილუსტრირებული ვიქტორინა 24

ბოლნისის სიონი (რა განძი გექნია) 25

გამოგადგები 26

ქართული ძეგლების სიმბოლიკა 27

სიცილის გაკვეთილი 28

არაჩვეულებრივი ძეგლები 29

რომის პაპი, რომელმაც ისრიანი საათი გამოიგონა 30

პირველი, სულ პირველი 32

მთავარი რედაქტორი მანანა გულაშვილი
რედაქტორის მოადგილე ქეთევან ცამაცამბე
პასუხისმგებელი მდივანი ატრილ შუქანიშვილი

ჟურნალი რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
საიდენტიფიკაციო კოდი: 20498462
რედაქციის მისამართი: 384096, თბილისი, კოსტავას ქ. № 14
ტელეფონი: 93-31-81, 93-18-84
ფასი სახელშეკრულებო.
ინდექსი 76157

„თეთრი იაღმანი“ იბედიანი სახელია



ბატონ გიორგი რაგიანს და მის 60 მოწაფეს არასდროს დაავიწყდებათ ის დღე, როცა სოხუმის საბავშვო თეატრალური სკუდია „თეთრი გალდა“ პრემიერით წარსდგა თბილისელი მაყურებლის წინაშე. ყველანი ღელავდნენ, ვოგო-ბიჭები გექსტს იმეორებდნენ, წრიალებდნენ. ყველაზე მეტად მაინც ბატონი გიორგი ღელავდა, მაგრამ არ იმხნევედა, ბავშვებსაც ამხნევედა, ამშვილებდა.

თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო თეატრის ღარბაშში შეკრებოლი საზოგადოება მოთმინებით ელოდა სპექტაკლის დაწყებას. მაყურებელთა ნაწილი სენას შესიქეროდა, უმრავლესობა კი ცნობისმოყვარეობით ათვალთვრებდა ღარბაშში მყოფ სასულიერო პირებს, პოლიტიკოსებს, ხელოვნების მოღვაწეებს. დროდადრო მამთრის ცივი საღამოსათვის ხალვათად ჩაცმული მოზარდები ფარდის კიდეს გადასწევდნენ და ღარბაშში იჭყიტებოდნენ.

კულისებში გიორგი მასწავლებელი გამოჩნდა, მსახიობებს მუხაბა, ერთხელ კიდევ გაამხნევა, — აბა, მშაღ ხართო? — ჰკითხა და გააფრთხილა, ხუთ წუთში ფარდას ასწევინო. ვოგო-ბიჭები თითქოს სპიკრთნენ, სიჩუმე ჩამოვიარდა. ორიოდ წუთში კი ნაცნობი მუსიკის პანგებმა ისევ ააერიაშულა ნორჩი მსახიობები. სპექტაკლის პირველი მოქმედების მოწაფელ გვირგობი უკვე სენანზე გავიდნენ. იმ დღეს დიდი დღესასწაული იყო საქართველოს სახალხო არტისტის გიორგი რაგიანისა და მისი 60 მოწაფის ცხოვრებაში. დიას, იმ დღეს სოხუმის საბავშვო თეატრალური სკუდია „თეთრი გალდა“ სპექტაკლის პრემიერით წარსდგა თბილისელი მაყურებლის წინაშე...

პრემიერას კი ბევრი რამ უძლო-

და წინ — ბერი კარგიც და ბევრი ცუდიც.

1988 წელს სოხუმის მასწავლებელთა კულტურის სახლიან არსებული თეატრების თეატრის სკუდიაში სამუშაოდ მიიწვიეს კ. გამასხურდიას სახელობის ქართული სახელმწიფო თეატრის მახიობი გიორგი რაგიანი. იმ დროს სკუდიაში მხოლოდ 10 ბავშვი ეუფლებოდა თეატრალური ხელოვნების ანბანს. სკუდიის ახალმა ხელმძღვანელმა ნორჩი მსახიობების დასი საგრძნობლად გააზრდა. მალე სკუდიაში, რომელსაც საერთო სურვილით იბედიანი სახელი „თეთრი გალდა“ უწოდეს, 80-მა ნიჭიერმა ბავშვმა



მოიყარა თავი. თეატრალურმა სკუდიამ ძალიან მალე მოიხვეჭა პოპულარობა ბავშვებსა და მოზარდებს შორის. სკუდიის ერთ-ერთი წევრი გოგონა კი თანამხრედან ჩამოდიოდა სოხუმში რეპეტიციებზე.

სკუდიის წევრები ბ-ნი გიორგის ხელმძღვანელობით ეუფლებოდნენ სასცენო მეტყველებასა და ეოკალის ხელოვნებას, ქორეოგრაფი ლუღმილა ჩიხლაძე კი პლასტიკისა და ექვტის საიდუმლოებებს უზიარებდა მათ.

ახლადღარსებულ სკუდიის მასწავლებელთა კულტურის სახლის ხელმძღვანელობამ რეპეტიციებისთვის კინოდარბაზი დაუთმო. საქართველოს თეატრალური მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარის ბ-ნი გიგა ლორთქიფანიძის დახ-

მარებით სკუდიის სარეპეტიციო ღარბაშის გასარემონტებლად გამოიყო თანხა. თბილისიდან ჩამოსულმა განმანათლებლთა ბრიგადამ სენანზე და ღარბაშში განათების თანამედროვე სისტემა დაამონტაჟა, გადიდა სენა, დიწყო დამზარე სათავსოების მშენებლობა და აი, 1991 წლის 10 მაისს „თეთრი გალდის“ პირველი სპექტაკლის პრემიერაც შედგა.

სოხუმელმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო იოჟუჟ კალაბის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ჩვენი ემ“, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იმეამინდელმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა კიული შარტავამ კი მოსაზრება გამოთქვა ნორჩების შეუქმნელი კლასიკის მოზარდ მაყურებელთა თეატრის წოდება მინჭებოდა.

პირველი წარბაგებით ფრთამ-ესხმული „თეთრი გალდები“ ახალი მუსიკალური სპექტაკლის რეპეტიციებს შეუდგნენ ვაჟა-ფშაველას მითხრობებს „ჩხიკვათა ქორწილის“, „ბუღბუღლის იუბლეს“, „ქელოვანის“ მიხედვით შექმნილ მიუმეკლემ „ტყის ზღაპარი“ ბატონი გიორგი და მისი მოწაფეები მოვიდნენ მუშაობდნენ. თბილისიდან მოწვეულმა კომპოზიტორმა თამაზ ქემულარამ ფრთოსანი ფიგურები აამღერა. სოხუმელმა მხატვარმა თემურ ყვანაძემ დეკორაციებში იღუბალა და მშვენიერი გყვ გააიკონს-

1992 წლის ზაფხულში სოხუმში აფიშები გაჩნდა: სკუდია „თეთრი გალდა“ მიუმიკლის პრემიერაზე იწყებდა სამოგადოებას, მაგრამ პრემიერა სოხუმში ვეღარ შედგა. ომი დაიწყო...

თბილისში გამოიხიზნულ, მშობლიურ ქალაქს, კერასა და სენანს მოწყვეტილ სკუდიის 60 წევრს და მის ხელმძღვანელს ამიერიდან არა-


მარტო თეატრისადმი სიყვარული, არამედ საერთო ტკივილიც აკავშირებთ. სოხუმიდან შემოპარაფი ამბები მილილი: სპექტაკლ "ტყის მღაპრის" მხატვარ-გამოქვეყნებული თეატრის რეჟისორმა აფხაზმა სეპარატისტებმა დახრებიტეს; განკილიან ნატყორცნმა ჰურება დაანართ სტუდიის ახლადგარემონტებული შენობა, შეიქმნა დარბაზის სიცხერისგან ხანძარმა შთანთქა პრემიერისთვის შეკერილი კოსტიუმები... მაგრამ, "თეთრი ტალღა" იმედს არ კარგავდა. საბავშვო თეატრალურმა სტუდიამ თბილისში განაახლარეპეტიციები. დღეაქალაქის მე-4 სამუსიკო სკოლის დირექტორმა ლერი ხარაგმა "თეთრტალღებს" სარეპეტიციოლ სააქტო დარბაზში შესთავაზა. დღენილ შემოქმედებოლ კოლექტივს საქართველოს პრემიერდენტის ფონდიდან 4 ათასი დოლარი გამოყო. სულმოთქმულმა კოლექტივმა მიუზიკლმე მუშაობა განაახლა. 1996 წლის შემოდგომაზე გრიბოულივის სახელობის სახელმწიფო თეატრში მისი პრემიერა შედგა.

ღვენილი ბავშვების შემოქმედებაში არა მარტო თანატოლებისა და ხელოების მოღვაწეების, არამედ ხელისუფლების წარმომადგენლების ყურადღებაც მიიპყრო. "თეთრტალღების" ცეკვით, სიმღერითა და არტისტიკით მოხიბულმა საქართველოს ღვენილთა და განახლების მინისტრმა, ბაგრაშმა ვალერი ვაშკაძემ სტუდიელებს 10 ათასი დოლარი გამოყოფილი ახალი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. პირველ წარმატებას მთეოე მოპყვა. მორიგი მუსიკალური სპექტაკლის "ხერხი სჯობია დონსა" პრემიერა გასული წლის ივნისში შედგა. ქართული ხალხური მღაპრის "ნაყარქექას" მიხედვით შექმნილი მიუმოკლისათვის მუსიკა კომპოზიტორმა რანამ ქემულარამ დაწერა, ჩინებული დეკორაციები თბილისის თეატრისა და ბალეტის აკადემიური თეატრის მთავარ მხატვარს ვანო ასკურავას ეკუთვნის. აწვარდაცელილი ქორეოგრაფის ეახტანგ ოდიშაძის დადგმულმა ერთეულმა ცეკვებმა სპექტაკლის ფინალურ სცენაში მაყურებლების დაუფრადი აღტაცება გამოიწვია.

თბილისელი მაყურებლის ადარებამ და ხელისუფლების ყოველმხრივმა თანადგომამ "თეთრ-

ტალღებს" ახალი სპექტაკლის შექმნისკენ უბიძგა. ამჯერად ბაგრაშმა გიორგიმ ყველა ქართველისათვის, განსაკუთრებით კი აფხაზეთიდან ღვენილებსთვის მტკივნეულ-სამშობლოსთან განშორების თემად შეარჩია. ნოდარ ღუმბაძის მოთხრობის "ელაღაღის" და გურამ ოდიშარიაის დოკუმენტური ორმანის "სოხუმში დაბრუნება" მიხედვით შეიქმნა სცენარი სპექტაკლისათვის "გამარჯობა, სოხუმი!"

"თეთრტალღეთა" ახალი სპე-



ქტაკლის პრემიერა ახალი წლის წინ, დეკემბერში შედგა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია II აღსაყდრების 20 წლისათვის მიძღვნა. პატრიარქი დაესწრო სპექტაკლს და დალოცა მისი შემოქმედნი.

ნორჩმა მსახიობებმა თემურ თითმერიამ, მერაბ წულუკიანამ, ეკა არჩაიამ, თეა სიფინავამ, დათო დანელიამ, მორენა სიგუამ უშუალოით განსახიერეს ღუმბაძისყეღ გმორები - ჩხუბისთავი იანგუღი, მარტოული ჯემალი, სთინო დეიდა ნინა, გირანი ხრისტო. სპექტაკლის დიდ წარმატებას ხელი შეუწყო მხატვარ მირიან შველიძის დიდებულმა დეკორაციებმა, კომპოზიტორ გოგი ჩლაიძის გულმი-

ჩამწვლომმა სიმღერებმა, ქორეოგრაფ კირა მუხუკეს მიერ დადგმულმა ცეცხლოვანმა ცეკვებმა.

ნორჩ სოხუმელის სპექტაკლის მოხიბულმა ქალბატონმა ნანული მუხარდნაძემ მაღლობა გააუხალა "თეთრტალღებს" და საახალწლო საყურები გადასცა მათ.

ღღეს თეატრალურ სტუდიაში "თეთრი ტალღა" 7-დან 23 წლამდე ასაკის ღვენილი ახალგაზრდები ყუფლებიან სასცენო ხელოვნებას. სტუდიის წევრებმა მერაბ წულუკიანამა და ეკა არჩაიამ მომავალ პროფესიად მსახიობობა აირჩიეს. წელს ისინი თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში სცდიან ბღღს.

სტუდიელების ბერი საინტერესო ჩანაფიქრი და გეგმა აქეთ, მათ განსახორციელებლად კი აუცილებელია ყველა იმ პრობლემის გადაჭრა, ასე რომ აბუხებს ბატონ გიორგი რაგაიანი - თბილისში არ გვაქვს მუღმევი ჰური; დავვიგროვად კოსტიუმები, დეკორაციები, მათ კი დაფორთხილება სჭირდება; გვიჭირს თეატრებისთვის არენდის თანხის გადახდა; კარგი იქნება, თუ რომელიმე თეატრი შეგვიფარებს, მაშინ უფრო ნაყოფიერად ვიმუშაებთ...

ამჟამად ბატონი გიორგი მუქსაირის პიესის "რომეო და ჯულიეტას" სცენარზე მუშაობს. დიდი ბრძანების სამოგალოება "იუკიკიკი ღინკს"-ის გენერალურმა დირექტორმა დენის სამშუკმა ფინანსური მხარდაჭერა აღუთქვა ღლოლილ სტუდიას. ისე რომ, იმედია, თბილისელი მაყურებელი მალე "თეთრტალღელების" "რომეოსსა და ჯულიეტასაც" იხილავს.

და კიდევ ერთი იმედი, ყოველი ქართველის იმედი - "თეთრი ტალღა" თავის ხელოვნებას, ყველა თავის სპექტაკლ მალე სოხუმშიც აჩვენებს. ასე რომ არ იყოს, ასეთ ფინალს არ არჩევდნენ "გამარჯობა, სოხუმისთვის!" "ჩვენ სოხუმში დაბრუნდებით... ღღე იქნება ნათელი, ცა - უღრუღო, მღღა - უღურჯავი, წყნარი, მოაღრეს..."

ნანა მამაყაშვილი

„თეთრი იალქანი“ იბედიანი სოხელი



ფ ა ქ ტ ი

სანიშორებასი

საბუნტო

ფაქტი



21055

რვა წლის სოხუმელმა გიორგი ინალიშვილმა ერთ-ერთ გამეთში ნახა ფოტო, რომელზეც გერმანიის ფედერალურ კანცლერს ჰელმუტ კოლს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის გახსნაზე ბურთი თამაშში შეჰკავეს. გიორგის სურათიც მოეწონა და თითოთონ კანცლერიც, მერე კი საკუთარი ბაბუსი რჩევით, ადგა და ბაკონ კოლს წერილი მისწერა. წერილში ბიჭმა ყველაფერი უბმო კანცლერს - ჩუენს ოჯახს სოხუმში ყველაფერი აქონდა, ყველანი ბედნიერები ვიყავით, მერე კი ყველაფერი დაეკარგეთ და ახლა ღვინველები ვართო. თავისი სურათიც გაუგზავნა. მალე გერმანიიდან საპისუბო წერილი მოვიდა. ჰელმუტ კოლმა პაგარა ქართველ მეგობარს კეთილი სურვილებით გამთბარი ბარათი და თავისი ავტოგრაფიანი ფოტოსურათი გამოუგზავნა.

დედაქალაქის მერიის განათლების სამმართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ტექნიკურ შემოქმედების ცენტრში ჩატარებულ კვირეულში სამ ათასამდე მონაზღმა მიიღო მონაწილეობა. კვირეულის დღეებში ჩატარდა ფოტომოყვარულთა, ავიამოდელისტთა, გამოყენებითი ხელოვნების და სხვა წრეებში ჩაბმულ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-დათვალიერება, რომელსაც წულს პირველად კონკურსის სახეც მიეცა. დარგების მიხედვით გამარჯვებულების ჯილდოდ სხვადასხვა პრიზები ერგოთ.

საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს თბილისის მედიცინის მუშაკთა სახლში გამართულ ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლების დათვალიერებაზე ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლთან არსებული ქორეოგრაფიული სტუდიის "მომავალი-2"-ის ნორჩმა მოცეკვავეებმა. წარმატება სტუდიას ნინო ბიბილეიშვილმა, ოთარ ბალანჩივაძემ, მიმიკო და ნათია ჩხარტიშვილებმა, გიორგი ოთარაშვილმა და სხვა მათმა თანატოლებმა მოუტანეს.

თბილისის 67-ე სკოლის მეცხრეკლასელებმა სკოლის საექტო დარბაზში წარმოადგინეს სპექტაკლი "ბეკელი თბილისი და ფიროსმანი". მათა უსტაიშვილმა, მაია შიმშილაშვილმა, სოფიო ბითოშვილმა, მონიკა ჭანგურაძემ, ილია პაგარაიამ, თამარ დაუშვილმა, მანონ არქაიამ ოსტაგობით გააცოცხლეს ფიროსმანის პერსონაჟები, ძველი თბილისის სურათები. წარმოდგენის სცენარის, სცენოგრაფიის და დანდგმის ავტორი მეცხრეკლასელი ირაკლი კაპანაძე გახლდათ. ირაკლიმ და მისმა აზნაზაგებმა სპექტაკლი თავიანთ კლასის დამრიგებელს, მაგული შანკალიანს უძღვეს.

აჭვალში განლაგებული საქართველოში სასამღერო ოფიცერთა კადრების მომზადების ცენტრი გაცხოველებული ემზადება

მომავალი სასწავლო წლისთვის. საქმე ის არის, რომ სექტემბრიდან ცენტრის ბაზაზე გაიხსნება სასამღერო ლიეცუმი, რომელიც სამღერების განათლებულ, ყოველმხრივ მომზადებულ პროფესიონალ დამცველ ოფიცრებს გამოუმზდის საქართველოს. ეს იქნება საბჭოთა პერიოდის "სუვოროველია" თუ "ნახიმოველია" სამხედრო სასწავლებლების გიპის ლიეცუმი, რომელიც საამოუნებით გაულებს კარს ყველა მსურველს, განსაკუთრებით კი უპატივლო, უსახლკარო ბავშვებს.

20 წლის ასაკის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაში, რომელიც იმპედროულად მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიც იყო, ამ ასაკზე უფრო უმცროსმა სპორტსმენებმა იმარჯვეს. გოგონებში 15 წლის ანა მათნაძემ იფინადა და ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა, მეორე ადგილზე რუსულან გოლეიანი გავიდა, მესამეზე - ლელა ჯაფარიშვილი.

ვაკეებში ჩემპიონი 16 წლის ვალერი გაფრინდაშვილი გახდა, მეორე ადგილზე დავით არუთინიანი გავიდა, მესამე ადგილი კი - მჭვლიძეშვილს ერგო.

საქართველოს ჩემპიონები მსოფლიოს ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც ინლოეთში გაიმართება, მეორე ადგილზე გასულეები კი ერევანში, ვეროპის პირველობაზე იასპარავებენ.

საქართველოს
პარლამენტი
24 დეკემბერი



სიღონია გააღიშვილი

მაინც ვის უღიმის ჯოკონდა?

მოთხრობა

– აუჰ, კარგით რა, ელენე მასწ, როგორ უნდა დაეწეროთ? მე რა ვიცი, ვის უღიმის ჯოკონდა?! – აჭიჭყინდა ფარნა, როცა ქართულის მასწავლებელმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადად უჩვეულო თხზულების დაწერა შესთავაზა მერვეკლასელებს – "ვის უღიმის ჯოკონდა?!"

– პო რა, მასწ... – მხარი აუბა მეგობარს მაზამ, – თემის დაწერა რად გვინდა, გოგრიძინს ისედად ეცოდინება, ვის უღიმის ჯოკონდა...

– კი არ უღიმი, უღიმი, – გაუსწორა გვანცამ.

– ხომ გითხარით, ეცოდინება-მეთქი!.. მიდი, გოგრა, მოყევი და ყველას გვეშველება... მოყევის რა, მასწ!..

– კი ბატონო, მოყევის, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, – უპასუხა ელენე მასწავლებელმა, – ოღონდ, ალბათ ჯობია, ჯერ ყველა კიდეე ერთხელ გაეხსენოთ ლეონარდო და ვინჩის ეს შეღებვა. მე თან მაქვს მისი რეპროდუქცია. გვანცა, ჩემო კარგო, მიდი, მე და შენ "ჯოკონდა" დაფაშე მივაბაკროთ, ყველამ რომ დაინახოს, მერე კი გვიამბე, რაც მის შესახებ იცი. მასწავლებელმა და გვანცამ რეპროდუქცია ჭკიარტეხით მიამატრეს დაფაშე, გვანცა იქვე დარჩა და დაიწყო:

– მე წაკითხული მაქვს, რომ ერთ-ერთ ფლორენციელ პატრიცის, თავისი ცოლის, მონა ლიპის პორტრეტი შეუკეთია ლეონარდო და ვინჩისთვის. ქალი სუსტი ჯანმრთე-

ლობის ყოფილა და...

– რომ არაფერი ეცემა?! აგე, პორტრეტზე ფერს კარგი აქვს სხორციც, – არ ცხრებოდა მაზა, მაგრამ მასწავლებელმა გაკიშისხარობა შეაწყვეტინა და გვანცას ანიშნა, განაგრძო.

– ... და მაინცდამაინც არ სიაძინებდა საათობით გაუნძრევლად ჯღომა და პოზირება. ლეონარდოს ვერა და ვერ გაუხალისებია ნაღველიანი მოღელი და სხვა რამ ვერაფერი მოუჭიქრებია, თავისი ნახელავი უჩვეულო საკრავები – სიმეტრებამული ცხენის თავის ქალა და სადაფით ინერუსტირებული შავი ხისგან გამოკეთილი არაბი ბიჭუნას თავი – გადმოულია და მისივე შეთხზული მშვენიერი პანგები დაუბრავს. ამ უჩვეულო სანახაობით გაოცებულ ქალბატონს გაღიშობია და მხატვარსაც სწორედ ეს მომენტი დაუჭერია...

– პო,

ხელაგ შენ, რა ყოფილა?! მაგარი ხარ, გოგრა, რაც მართალია, მართალია! – მაზამ მორიგი კომენტარი კლასში ატეხილმა ხმაურმა ჩაახშო. ყველა თავის აზრს გამოთქვამდა: ზოგი ცხენისთავიანი საკრავის წარმოდგენას ლამობდა; ზოგი იკვირებდა, ნუთუ ლეონარდო და ვინჩი მუსიკასაც თხზავდა; გოგონების ნაწილ გუმის იბზუებდა, ვითომ ისეთი რა დამილი აქვს ამ ჯოკონდას, რომ ქვეყანა ირევაო; ლალი კი ხმამაღლა იყინოდა, რა ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა, ნეგავი კი ვინმე ჩემი პორტრეტის დახატვა მოინდომოს და გავიღიშებ კი არაო...

ელენე მასწავლებელმა ცოტა ხანს ეცადა, მერე ხელის აწევით ჩააცხრო კლასი, გვანცას მაღლობა გადაუხადა და თვითონ გააგრძელა თხრობა.

– დაიხ, ეს ერთ-ერთი ოფიციალური ვერსიაა. თქვენი ნებართვით, მე კიდე უფრო განვავრცობ და შევავსებ მას. საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ ალბათ, არ არსებობს მსოფლიოში ლეონარდოსეულ "ჯოკონდაზე" უფრო ცნობილი სხვა სურათი. მიოდი, დაეკვირდეთ – მონა ლიპა მშვიდად, გამართული მის ვერანდაზე, საფარძელში, მისი მარცხენა ხელი მაკარდის სახელურზე ასვენია, მარჯვენა კი მარცხენაზე უღევს. სადა კაბა. შუაზე გადაყოფილ წაბლისფერი თმა დალა-

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

ლებდა სეკსს მხრებზე. ნათელი სახე, ოდნავ დამკინაივი ვიწრო თვალები და ღიმილი... შეუდარებელი, იდუმალი და მშვენიერი ღიმილი, ყველა სხვადასხვანაირად ხსნის ამ ღიმილს, მაგალითად, XVI საუკუნის მხატვარი და ხელოვნების ისტორიკოსი ჯორჯ ეაზარი წერს, მშვენიერი ღიმილის პორტრეტს რომ ქმნიდა, ლეონარდომ იმრუნა იმისათვის, რათა ასეთი შემთხვევისათვის ჩვეულებრივ შემთხვევებისგან გაითავისუფლებინა მოდელი და მის გასართობად მომღერლები მოიწვია და ენამახვილი ოხუნჯებიცო. ეაზარი იმასაც დასძენს, აღორძინების ხანის გენიოსმა სწორედ ამ გზით მიაღწია საწაღელს - მონა ღიმილს გაიღიმა და ლეონარდომ შეძლო გილოზე აღებუჭდა ღიმილი, უმაღლესიერ საბოლოოებს რომ ჰგერის მნახველს, ვიდრე მიწვიერსო...

- მასწ, თვითონ მონა ღიმილის შესახებ თუ არის უფრო დაწერილებით ცნობილი? - იკითხა თამარმა.

- კი, როგორ არა. ღიმილი და ანგონიო მართი და ნოღლო გერარდინი ფლორენციის ერთ-ერთ წარჩინებულ გვარს ეკუთვნოდა. იგი 1479 წელს დაბადებულა და სულ ახალგაზრდა ვაჟიკლია თავისმეორჯერ და უფრო მეტად უფროს ქერივ დიდვაჰარს ფრანჩესკო დი ბარგოლომე დი ძანობი დელ ჯოკონდოს. დონ ფრანჩესკო ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილა, საშაგვიერო, კომერსანტი ყოფილა გამოჩრეული, გონიერი და იღბლიანი. ფლორენციაში მშვენიერად სცილდნით, რომ მონა ღიმილი სიყვარულით კი არ გათხოვილა, არამედ მამის ნება-სურვილით, რომელსაც ამ ქორწინების ფინანსური და საქმიანი მხარე უფრო აინტერესებდა. იმასაც ამბობდნენ, თითქოს ჭაბუკი, რომელიც ყმაწვილ ღიმილს ჰყვარებია, ბრძოლაში დაღუპულა.

- სურათზე რამდენი წლისაა, მასწ, ასაკოვანი ჩანს და? - დანტერესდა ეკა.



- იმ დროისათვის, როცა ლეონარდოს მის პორტრეტზე მუშაობა დაუწყო, მონა ღიმილი 24 წლისა ყოფილა. მორიდებული, მშვიდი ჯოკონდა ფლორენციელთა საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა. ახალგაზრდა გარდაიცვალა. პორტრეტის დახატვიდან რამდენიმე წლის შემდეგ ქმართან ერთად იტალიის სამხრეთში გაემგზავრებულა, გზაში ავად გამხდარა და სოფელ ლაგონეროში გარდაცვლილა...

როგორც ამბობენ, ლეონარდო და ეინჩის "ჯოკონდა" ოთხ ათას სკუდოლ მიუყიდა ფრანცისკო პირველისთვის...

- ერთი სკუდო რამდენს უდრიდა? - დანტგერესდა სოლიკო.

- სკუდო XVI-XVIII საუკუნეების იტალიური ვერცხლის ფულია. ოთხი ათასი სკუდო 12 ათას ფრანკს უდრიდა და დაახლოებით 12 ათას კილოგრამი ვერცხლის ღირებულებების ფული ყოფილა...

- აუჰ, ბიჭო! - შესძახა ზამამ.

- რა აუჰ? შენ გგონია ბევრია, მითუეგეს, ასეთი შედეგისთვის, - შეესიგევა განიკა.

- მაინც ვერ გაეფიქრა ბევრია თუ ცოტა, მასწ? - ვერ დაიკმაყოფილა ცნობისმოყვარეობა ეკამ.

- ცოტა, ღებილო, ცოტა, რით ველარ გაივქ?! - წამოუნიავა ამხ-

ანაგს მურამ.
- შენ თვითონ ხარ ღებილო! - მოიგერია მოქნეული ზღუფ ეკამს ღებილო ვლენე მასწავლებელმა-ფრანცისკო ბაგაგორელა და ორივენი მალევე ჩაისრუნენ.

- 1584 წელს პორტრეტი საფრანგეთში, ფრანგებლს სასახლის "ოქროს სალონში" უნახავთ. ისტორიული წყაროები მოწმობს, რომ იგი 1642 წელსაც იქ ყოფილა. დაახლოებით 50 წლის შემდეგ კი ლუვერში გადაუტანიათ - მაშინ ეს ჯერ კიდევ მეფეთა სასახლე იყო. მოგვიანებით "ჯოკონდა" ევრსალში ყოფილა და 1804 წლამდე თურმე ნაპოლენის ეკლასაწოლის თავზე, ხოლო მას შემდეგ, რაც იმპერატორი გამხდარა, ბონაპარტეს სურათი ახლად გახსნილი ეროვნული მუზეუმისთვის გადაუცია. საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს პარიზთან მომდგარი გერმანელების მიმით "ჯოკონდა" ერთი წლით ბრესკში გაუხიზნავთ, ორმოცი წლის მერე კი, 1911 წელს პორტრეტი ლუვერიდან გაქრა. აღისით-მშისით, მუზეუმის 257 თანამშრომლის თვალწინ ვიდაცამ მოიპარა ლეონარდო და ეინჩის შედეერი. იგი ორი წლის შემდეგდა აღმოაჩინეს. გამგაცებული 32 წლის იგალეილი მღებავი, ვინმე პერუჯა გამოცა. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ პერუჯას შვიდი თვით პატიმრობა მიესაჯა, ხოლო "ჯოკონდამ" კვლავ ლუვერში დიდო ბინა...

- მირჩა, პარიზში მივდივარ, მონა ღიმილს სანახავად! - გამოაჩნდა ირაკლიმ, - არაფერი არ ვიცი, მშობლებში ქესები შემეგროვეთ და მივლინებით გამიშვით... ბარემ თხმულებსაც დაეწერე, მთელი კლასის მავტივრად! - ართობოდა კობახიძე.

- პო აბა, ბიჭო, მალ-მალე გაიმეორე! - ეცა ამხანაგს მარიამი.

- რაღა პარიზში მიდიხარ, ანა აქ არ დამოქმედო, ვითომ იგალეილ არის? მთელი ნაკლები ღიმილი აქვს? - აიგაკო კობახიძის სუბრობა თონიამ და ახლა ფრანკს მოუბრუნ-

და, შენ რას იტყვი?

ყველა ანას მიიჩნერდა.

— კარგი რა, შორში, გვხვეწები, — გააჩუმა შეგობარი სახეაღელვილმა ანამ. ფარნამაც შეხვდებოდა, შენ სულელი ხომ არა ხარ, ჩემგან რა გინდაო, მერე კი რაგომღაც მაინც შეავლო ანას თვალი და გაიფიქრა, ე, მართლა, ნეტავ როგორ იღიბება ვარდიც, ე არასდროს დაეკვირვებოდა.

— ვფიქრობ, ახლა, როცა ჯოკონდას შესახებ ამდენი რამ შევიტყვეთ, თხზულების დაწერა აღარ უნდა გაგვიტყვიდეთ. მაშ ასე — დღეს პარასკევია, ორშაბათს ველი თქვენს თხზულებებს — "ვის უღმის ჯოკონდა?"

— ხომ დავადგინეთ, არა, ვისაც და რასაც უღმის, თხზულების დაწერა რაღად გვინდა? — კიდევ ერთხელ სცადა ბუდი შაშამ.

— კმარა, შაშა, დავილაღე. შენი ხმა აღარ გავიგონო! — გაწყრა ბოლოს და ბოლოს ელენე მასწავლებელი — შენ მშვენიერად იცი, რასაც გოხობ.

— ხომ შეიძლება, თავის მოგონებებს უღიმოდეს... — გამოთქვა ეარაული თონამ. ამკარა იყო, რომ ის სწორედ ამბე ააგებდა თავის თხზულებას.

უფრო უსიხარულო გამოდგარუსულანის მოსაზრება — იქნებ ეს სულაც, სიყვარულში გაწვიბული ქალის სიმწერის ღმირილიაო. განსხვავებული აზრი აღმოაჩნდა გელას: მე კი მგონია, ჯოკონდა საკუთარ თავს დასცინის, ბებერს რომ გააყვია ცოლალო...

— აი, ხომ ხედავთ, რამდენი ვერსია გაჩნდა? ვიმეორებთ, მე სწორედ ეს თქვენი "შეიძლება", "იქნებ" და "მე მგონია" მაინტერესებს და არა, ვთქვათ, ვაზარის თუ სხვების ოფიციალურად გაბატონებული აზრი. როგორც ყოველთვის, თხზულების მოცულობას მნიშვნელობა არა აქვს, შეიძლება სათქმელი ერთ სტრუქტურულ დასვლით, მაგრამ, შეიძლება ხუთი ფურცელიც არ გვეყოს — საბოლოოდ ჩამოყალიბდა მოთხოვნე-

ბი ელენე მასწავლებელმა.

ამასობაში ზარიც დაირეკა და რაკილა დილიდანვე გამოუცხადეს, ქიმის მასწავლებელი ავად არის და ბოლო გაკვეთილი გაგვიტყვიათ, მერევე კლასელები სმაურით გამოუფინენ ქუჩაში. ფარნას შაშა წამოეწია. ერთი გზა ჰქონდათ, მეზობელ კორპუსებში ცხოვრობდნენ და თითქმის ყოველთვის ერთად ბრუნდებოდნენ შინ.

— ე, ბიჭო, იცი, ჩემს ძმაცას რა მაგარი კასეგები უშოვნია, გამოვართმევ და ხედა ვნახოთ ჩემთან.

— ვერა რა, ხედა ჯერ ინგლისურზე მივიღივარ, მერე შენც ხომ იცი, შაბათობით კარაგე მაქვს.

— ჰო, მართლა... მაშინ მეგ მოდი.

— არა, არც მეგ გამოვია, მამიდაჩემის დაბადების დღეა და ყველანი იქ მივიღივართ. სხვა დროს იყოს, კარგი?

— კარგი, ჰო. ბიჭო, ჯოკონდას რა უნდა უყო? გააჩირა რა ელენემაც, ხან რას იგონებს, ხან რას...

— რა ციცი, ვნახოთ, დავჯდაბნის რამეს... შენ?

— აზრზე არა ვარ... ავადგები და სულაც გოგონას დავაწერინებ...

ფარნამ გაკვეთილების ნაწილი პარასკევსეც ისწავლა, ნაწილი კი, და მათ შორის თხზულება შაბათობისთვის დაიტოვა. კარაგეს ვარჯიშიდან რომ დაებრუნდები, მაშინ დაეწერ, იქნებ, ამასობაში



რაიმე მომავლიერდესო. ვარჯიშიდან ყოველთვის გახალისებული და ძალმოცილებული ბრუნდებოდა ხილვით. ახლაც ასე იყო, როგორც კი მეგონის მაკარებელი გაჩერდა, არაგის დაეკრა, პირველი გამოვარდა, სპორტული ჩანთა ზურგზე მოიგდო და ესკალატორისკენ გაიქცა, საფეხურები აირბინა, შეაშლელი მომიგდა, შედგა, უკან მოიხედა, ვიღაც კაცმა ისიც იყო წინ შეღვაკილებე. გაიყინა და ახლა უფი გაიხედა. ქვევით ჩამომავალ ესკალატორზე ყველაზე წინ დედა-შვილი იდგა. ბიჭი ვერ ისვენებდა, ცდილობდა დღისთვის ხელი გაემშვენიერებინა და საფეხურები ჩაერბინა. მერე ვიღაც ქუღანამოხატული კაცი იდგა, ცხვირი გაშთიშა ჩაერგო, მერე ორი სნიერი ქალი იდგა, მერე... მერე ეკა და ანა დაინახა. ეკას არ დაუნახავს, გამწარებული ჩანთაში იქექებოდა, რაღაცას ეძებდა. ანამ კი დაინახა და გაიღიმა. ერთმანეთს რომ გაუსწორდნენ, ეკამ თავი ასწია და იმანაც დაინახა ფარნა და ანას რაღაც გადგულაპარაკი, ის კი ისევ იყი იღიმებოდა. შავი სეიტერი ეცვა, წაბლისფერი თმა ბუკვებზე ეყინა, მარცხენა ხელი ესკალატორის სახელურზე ელო, მარჯვენაში იეხის კონა ეჭირა. ფარნას რაღაც დაემართა. თვალი ვეღარ მოსწყვიტა ანას. უნებლიედ რამდენიმე საფეხურით დაშლდა ჩაინაცვლა. ანას თავი მოებრუნებინა და ისევ ისე იღიმებოდა. მერე, ერთმა ესკალატორმა ფარნა რომ შემოთ ამოიყვანა, მეორემ გოგონები სადგურში ჩაიყვანა და პირდომილიანი ანაც სხვა მგზავრებს შეერია. ფარნა კი მთელი გზა თავს იმტკრევდა, ნეტავ, რას იღიმებოდა ვარდიცო.

შინ მისულმა ისაღილა, ცოცხალი დაისვენა და გაკვეთილებს ჩაუჯდა. ალგებრის მაგალითების გამოყვანა არ გასჭირვებია, ფიზიკაც ისწავლა და ახლა ქართულის რვეული გადაშალა, სათაურიც დაწერა. მაგრამ წინ ვეღარ წაიწია, ვერაფერი მოიფიქრა და წამოდგა. იწრიალა, ხან გელევიზორს მიუჯდა, ხან დე-

გვეყვითის კითხვა დაიწყო, ხან მაგნიტოფონი ჩართო. გული ვერაფერს დაულო. რაღაც არ ასეუენებდა. ბოლოს, გელეფონი თავის ოთახში გაიტანა. ანას ნომერი აკრიფა, მაგრამ მაშინვე დაჰკიდა: — რა, ხომ არა ვკითხავ, რას იღიშებოდი-მეთქი... არ შეგვეყვითის, მინდოდა და ვიღიშებოდი... საოცრად ლამაზი ყოფილა!..

მერე ეკასთან ღარეკა. ყურმილი ეკამ აიღო.

— ე, კიბილაძე, მე ვარ, ფარნა...
— რას მეუბნები, მართლა? არ გამაგიჟო... მერე რა გინდა, ფარნა, რამ შეგაწუხა?
— მოიცა პო, ნუ დაიწყებ... იცი რა... მინდოდა შეკითხვა... — აბლუკუნდა ფარნა — მერე თავის თავზე თვითონვე მოუვიდა გული და მიახალა, — რას იკრიფებოდა ის შენი ღარეკილი?!

— ვინ ღარეკილი? სად? შენ გვიცხობ არა ხარ?!

— ვინ და ვარდიძე!.. წელან შეგრომი...

— ღებილი ხარ, ხოსიგაშვილი! ჯერ ერთი, კი არ იკრიფებოდა, იღიშებოდა...

— პო, ღარეკუშეთ, მერე რას იღიშებოდა?

— რომ გეუბნები, ღებილი ხარ-მეთქი, არა გჯერა. შენ გიღიშოდა!

ვერ უნდა მიმხვლარიყავი? — აწიკინდა ეკა ყურმილში.

ფარნა გამრა, ენა ჩაუკურდა. ბოლოს, როგორც იქნა, ხმა ამოიღო.

— მე რა ვიცი... საიდან უნდა მიმხვლარიყავი?

— აუპ, ამ ბიჭებს ხომ ვერაფერს გაუგებ? მარტო ღლეს დინახე არა, ანამ რომ გაგიღიმა?! გოგომ აღარ იცის, როგორ გაგრძობინოს, რომ მოსწონხარ, შენ კიდე... ბე, ბე, ბე... ვის უღიშოდაო. ნეგავ გამაგებინა, მაინც, რა მოსწონს შენი, თავი ბუენა-ტოს მიგიგავს და საერთოდ... — გამაწარებულმა ეკამ ყურმილი დაუკიდა.

— მე?! მე მიღიშოდა?... ვითომ? მართლა? თუმცა... რა ვიცი. პაინც, მაინც... ეს კალატორზე ხომ არც ჩემს წინ იღვა ვინმე და არც ჩემს უკან... ვაგონიდან რომ გამოვყარდი, ყველას გამოვასწარი და ერთი ოცდაათი საფეხური მაინც ავირიბინე. ე, მგონი, მართლა მე მიღიშოდა... რა ღამაში იყო... ნაღდად მე მიღიშოდა. აუპ, მართლა ღებილი ვარ, აქამდე როგორ ვერ ვამჩნევდი. საოცრად ღამაში ყოფილა ანა... ღიმილი ხომ... ჯოკონდას ღიმილი ჰქონია!..

ისევ ღარეკა ეკასთან, მაგრამ იმან ხმის ამოღება აღარ დააყადა, ისევ გაუმეორა, ღებილი ხარ,

ხოსიგაშვილი, რომელი საათია, თუ იცი, სადაც არის, შეუქს გამორთავენ, დაწექი და დაიძინე.

შუქი მართლაც მალე გამოვრთა, ესე იგი, თორმეტი საათი იყო. ფარნა დაწვა, მაგრამ ვერა და ვერ დაიძინა. წინ სულ ანა ელვა. ეკამ მითხრა, შენ გიღიშოდა... აქამდე როგორ ვერ ამჩნევდი, რომ მოსწონხარო... ე, მართლა ისე მითხრა, ნეგავ, რა მოსწონს შენი, თავი ბუენა-ტოს მიგიგავსო... ნეგავ, ბუენა-ტოს როგორი თავი აქვს? ალბათ, ღლი... მართლა ღლი თავი მაქვს?! ვუღარ მოისვენა, წამოღდა, ასანთი მოძებნა, ღამა აანთო და ღერეფანში გავიდა. სარკეს მიანათა. მგონი, მართლაც ღლი თავი მაქვს... საგარცხელი აიღო და თმა გაღაივარცხნა. არა, თმა არაფერ შუაშია, ღლი თავს არაფერი ეშველებო, — გაფიქრა და ისევ აიწეწა თმა, მერე ოთახში შემობრუნდა, ღამა მაგაღამე დაღდა და ჩამოჯდა. მაგაღამე გაღაშლილი ქართულის რეუული იღო. "ვის უღიმის ჯოკონდა?" — წაიკითხა ფარნამ, ღამა წინ წამოსწია, კალმის-ტარი მოძებნა, კიდე ერთხელ წაიკითხა თხზულების სათაური — "ვის უღიმის ჯოკონდა?" და შუა ფურცელზე მსხვილი ასოებით დაწერა — მე.



ახალი ღემსი

ბოდერიძე ჩოხელი

როგორც გამთარში თოვლიან

ტყეს მწიფე ძახველი,

ისე შემორჩა სულში

ბავშვობა,

დათოვლილია ირგვლივ

ტყეებო,

თოვლიან ფერდობს

მიუყვება უკვე ბილიკი...

აქჩამოივლის ალბათ სიბერეც

და ჩემს ბავშვობას

როგორც ძახველს მშიერი

ყვავი

დააცხრება და უცებ

გა

კენ

კ

ა

პ

ს.


სიტყვის ჯანა



ტრიზა - ატლახებულ ქუჩაში მანქანა რომ გაიქროლებს და ტალახს შემოგაშხეფებს, იმ ტალახსა ჰქვია. "სიტყვა გამიტრიზავალ" - ესე იგი, ჩემი სიტყვა არაფრად მიიჩნია, მიწაზე დაუშვა, ტალახში ამოსვარაო.

ბონდი

გაბმული ხიდი. ამ ხიდს ძველად უსურვაზით წნავდნენ (უსურვაზი - იგივე კრიკი-



ნაა - ველური ვაზი). ახლა ბაგირით კეთდება მდინარის ორივე მხარეს დასობილია ორი ბოძი. ბოძებს შორის, ერთი ნაპირიდან მეორემდე, გაჭიმულია წყვილი ბაგირი. ზედ ფიცრებია გარდიგარდმო დალაგებული. ამ ხიდზე როცა გადიხარ - თახთახი გაუღის. ეს ხიდი უმეტესად განიერ მდინარეზე კეთდება.



ტაპპრნა - ფეხთ აკრული ტალახი. სახლის წინ, ფეხის საწმენდელაზე რომ იფხეკენ - ის ტალახი.



ნეტავ რას ვერჩით ქაშელეონს?

საქართველო
საბჭოთაო
კავშირები

ადამიანზე, რომელიც ანგარე-ბის მიზნით იცვლის აზრს, შეხედულებას, ამრეზით ამბობენ, ქაშელეონიაო! სულ კი იმიტომ, რომ ამ უწყინარ ხელიც შეფერი-ილობის შეცვლა შეუძლია: ბალ-ასში ის მწვანეა, ქვიშაზე ყოფი-ელი ხდება, ხის ზროზე კი — ყავისფერი.

შეფერილობას თევზებიც იც-ვლიან, კიბორჩხალებიც, მწვერ-ებიც, მაგრამ, რატომღაც, ადამი-ანებმა მაინცდამაინც ქაშელე-ონი ამოიჩემეს, მისი ეს თვისება დაიხვიეს ხელზე. შემწნეით, ქაშელეონის ეს თვისება უძვე-ლეს დროში შეამჩნიეს, იმას კი მრავალი საუკუნის შემდეგ მიხ-ვდნენ, მაინც როგორ იცვლის იგი ფერს. ამ გამოცანის ამოც-ნობაში ადამიანს მიკროსკოპი დაეხმარა.

იმ უჯრედებს შორის, რომ-ლებიხგანაც ყველა ორგანიზმი შედგება, ისეთებიც არსებობს, რომლებიც შეფერილობას გა-ნაგებენ. სწორედ ამ უჯრედე-ბზეა დამოკიდებული ბუმბულებ-ის, კანის, სხეულის ცალკეული ნაწილების ფერი. მათში თავ-მოყრილია მღებავი ნივთიერ-ებების — პიგმენტების მარც-ვლები. ამიტომაც უწოდებენ ამ უჯრედებს პიგმენტურებს, ანუ ქრომატოფორებს (ბერძნ.), რაც ქართულად "სადებავის მა-




ტარებელს" ნიშნავს. ზოგ ქრო-მატოფორაში ბევრი პიგმენტი, სხეუბში — ნაკლები. ცხადია, როცა პიგმენტი მეტია, შეფერი-ლობა უფრო ხასხასა, კაშკაშაა.

მაგრამ, მნიშვნელობა აქვს არა მარტო პიგმენტის რაოდენობას, არამედ იმასაც, თუ როგორ არის იგი განლაგებული უჯრედ-ში: მთელ ქრომატოფორაშია მი-

მოხეული, ყველა მის განსტოებაშია განლაგებული, თუ უჯრედის შუაშია თავმოყრილი. პიგმენტის მარცვლებს შეუძლიათ გადაადგილდნენ ქრომატოფორაში, ის კი არა, თვით ქრომატოფორებსაც შეუძლიათ კანის სიღრმეშიც ჩაღრმავდნენ და მაშინ კანი ფერმკრთალდება – და მის ზედაპირსაც მიუახლოვდნენ – კანი უფრო კაშკაშა ხდება.

მაგრამ ქამელეონს მარტო კანის შეფერილობის სიკაშკაშე კი არ ეცლება, არამედ, თავად ფერიც. მაინც, როგორ ხდება ეს? ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ქამელეონს ქრომატოფორებში სხვადასხვა ფერის პიგმენტის მარცვლები აქვს. თუ ქამელეონი ბალახში ზის – მწვანე პიგმენტიანი ქრომატოფორები კანის ზედაპირზე ამოდის. სხვა ფერის პიგმენტები კი სიღრმეში ძევს. როცა ქამელეონი ხის ზროზე აცოცდება – მწვანე პიგმენტიანი უჯრედები კანის სიღრმეში ეშვება, ზედაპირისკენ ყავისფერი საღებავი ნივთიერების შემცველი ქრომატოფორები მიისწრაფის.




ფაუნის ზოგიერთი წარმომადგენელი, კერძოდ, მწერი ტემპერატურის შეცვლის შესაბამისად იცვლის ფერს. 15° ტემპერატურის დროს იგი შავია, როგორც კი ოდნავ დათბება, – ფერი უბაცდება. ხოლო 25°-ზე მწვანე ხდება. რაშია საქმე? რაში სჭირდება სითბოში უფრო ბაცი შეფერილობა? კი მაგრამ, ჩვენ, ადამიანები, ხომ ვცდილობთ, სიცხეში დია ფერის ტანსაცმელი გვეცვას, რადგანაც იგი მუქ ფერზე ნაკლებად ნთქავს მზის ენერჯიას, რატომ არ უნდა იფიქროს სიცხისგან თავდაცვაზე მწერმა?

განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს ცხოველთა ქრომატოფორებზე სინათლე. სინათლის ზეგავლენით ცხოველი მარტო კი არ ბაცდება ან მუქდება, შეფერილობის ცვლა შეი-

ძლება ზოგჯერ ძალზე რთულიც იყოს. მაგალითად, ზოგიერთი სახის კობორჩხალა შავ ფერზე შავია, თეთრზე – თეთრი, წითელზე – წითელი, ყვითელზე – ყვითელი.

მაინც, როგორ იწვევს სინათლე ცხოველის ფერის შეცვლას? ქამელეონს ან სვიას (ქამბალა) თვალზეც ცვილი რომ გადაეუსვათ, ისინი ფერს აღარ შეიცვლიან. იგივე ემართებათ მხედველობის ნერვის დაზიანების შემთხვევაშიც. მაშასადამე, სინათლე თვალის საშუალებით ზემოქმედებს ნერვულ სისტემაზე და მხოლოდ ამ უკანასკნელის მეშვეობით – ქრომატოფორებზე. ტვინიდან ქრომატოფორებამდე ნერვები გადის. მათი მეშვეობით გადაიცემა სიგნალები: "შეიცვალოს ქრომატოფორების ფორმა და განლაგება". ასეთი ბრძანების შემდეგ სვიას კანზე უჩნდება ნახატი, რომელიც მან დაინახა: სილიან ფსკერზე იგი ერთი ფერისაა, კენჭიანზე კი – ჭრელი, ხალეიანი. მეცნიერები ასეთ შემთხვევაში ამბობენ, ნახატი ხედვით სახეს შეესაბამება.

ამრიგად, გამოდის, რომ ქამელეონის ქცევაში ცული არაფერი ეოფილა და ჩვენ სულ ტყუილად შეურაცხყოფთ მას.



ბინჯავთ ფრანების ფესტივალზე

თუ უშუალოდ არა, კინო-ფილმებში, წიგნებსა თუ ჟურნალ-გაზეთებში მანინც გექნება ნანახი, როგორ უშვებენ ბავშვები ფრანს. უთუოდ ნახავდით და მოგეწონებოდათ კიდევ მისი ზეცაში ლივლივი. იქნებ გინატრიათ კიდევაც, ნეტავ, მეც გამაშვებინა ერთხელ მანინც ასეთი ფრანო. არადა, რომ იცოდეთ, რა ადვილია ამ ოცნების ასრულება - მთავარია, სურვილი გქონდეთ. იმედო გვაქვს, რომ ჩვენი ჟურნალის ამ ნომრის წაკითხვის შემდეგ ბევრ თქვენგანს გამოუჩნდება ამგვარი სურვილი. საქმე ის გახლავთ, რომ "ნაკადულის" რედაქციამ და საქართველოს ბავშვთა საერთაშორისო ფონდმა გადაწყვიტეს, ჩაატარონ ჩვენს ქვეყანაში პირველი ფრანების ფესტივალი. ეს ღამეზი ფესტივალში გაზაფხულზე, სავარაუდოდ აპრილ-მაისში გაიმართება. სავარაუდოდ იმიტომ, რომ მოგეხსენებათ, ფრანის გასაშვებად შესაბამისი ამინდი, ნიაკვარია საჭირო. ფესტივალის გამართვის ზუსტი თარიღი ხელმალე დაზუსტდება, თქვენ კი დროს ნუ დაკარგავთ და ამასობაში მოდელების დამზადებას მოჰკიდეთ ხელი, ახლავ ემზადეთ ფრანების პარადისთვის. "ნაკადული" ამ ნომერში გთავაზობთ რამდენიმე მოდელის ნი-




შუშს, ჟურნალის მომდევნო ნომრებში კიდევ რამდენიმე უფრო რთული მოდელის დამზადებას გასწავლით.

მაშ ასე, გიწვევთ საქართველოში პირველი ფრანების ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. გარდა იმ დიდი სიამოვნებისა, მარტო ჰაერში აჭრილი საკუთარი ნახელავე ფრანის ფრენა რომ მოჰგვრის ყოველ თქვენგანს, საუკეთესო მოდელების ავტორებს ჯილდოებიც ელის.

ფრანი უძველესი საფრენი აპარატია. აღმოსავლეთის ქვეყნებში, კერძოდ, ჩინეთსა და იაპონიაში ფრანები 4000 წლის წინ გაჩნდა. სხვადასხვა

დღესასწაულებისთვის ჩინელები, იაპონელები, ბირმელები ფრანებს პეპლების, თევზების, ხოჭოების სახეს აძლევდნენ. ყველაზე შთამბეჭდავი და, ცხადია, ძნელი გასაკეთებელიც, მფრინავი ურჩხული იყო, რომელიც აღმოსავლეთში ძალაუფლები-სა და კეთილდღეობის სიმბოლოდ ითვლებოდა. ფრანების დამზადება-გაშვებაში ერთნაირი ხალისითა და გატაცებით მონაწილეობდნენ დიდებიც და პატარებიც. ასეა ახლაც. ამ ქვეყნებში სახალხო დღესასწაულებზე, მაგალითად, ახალწელს ცაში ნაირფერ ფრანებს უშვებენ, რომლებზეც, ხშირად ფრანებსაც ამაგრებენ. დღეს



ფრანი თავშესაქცევი, გასართობი სათამაშოა. ძველად კი მათ სხვადასხვა მიზნით უშვებდნენ ცაში – ბრძოლაში მოწინააღმდეგის შესასინებლად, ატმოსფერული ელექტრობის შესასწავლად, მეტეოროლოგიური დაკვირვებებისთვის, სხვადასხვა სახის მცირე ტვირთების ან შეტყობინების მისაწოდებლად და ა.შ.


არსებობს ფრანის უამრავი სახის კონსტრუქციები. პირველ ჯერზე ჩვენ შედარებით მარტივ, ადვილად დასამზადებელი კონსტრუქციების შესახებ გიამბობთ. მაგრამ, ვიდრე უშუალოდ ფრანების გაკეთებას შეუდგებოდეთ, მოდით, გავარკვიოთ, მაინც რატომ და როგორ დაფრინავს ფრანი. ვფიქრობთ, ყველასთვის ნათელია, რომ იგი ჰაერის მოძრაობის წყალობით ლიფლივებს ზეცაში. მაგრამ, თუ ბრტყელ ფრანს ოთხივე კუთხეზე ოთხ ძაფს გამოვებამთ და ერთად შევაერთებთ, ასეთი

ფრანი საკმაოდ ძლიერ ქარშიც კი ვერ გაფრინდება. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ჰაერის შემხვედრი ნაკადი თანაბრად აწვება ფრანის ზედაპირს და კუთხეებზე გამობმული ძაფები არც ზევით უშვებს მას და არც განზე. მოდით, ვცადოთ, მარტო სამი ძაფი დავტოვოთ, თანაც, ისე შევკრათ ისინი, რომ ფრანის ზედაპირი რაღაც კუთხით იყოს დახრილი. ამ კუთხეს "შეტ-

ვის კუთხე" ეწოდება. მოცემულ შემთხვევაში ჰაერის წინააღმდეგობის ძალა არა მარტო უკან ეწვევა ფრანს, არამედ ათრთოლებს ზევით აფრინდეს. ამწვევი ძალის სიდიდე დამოკიდებულია "შეტვის კუთხეზე", ფრანის ზომებზე და შემხვედრი ჰაერის დაწოლის ძალაზე. ეს დაწოლა მით მეტი იქნება, რაც უფრო ძლიერი იქნება ქარი.


ახლა კი შევეცადოთ, ყველაზე მარტივი ფრანი "ბერი" (ნახ. 1) გავაკეთოთ. 25X25 სმ. ზომის ოთხკუთხედი საწერი ან სახაზავი ქაღალდი ისე მოკეცეთ, როგორც ეს 1. ნახატზეა მოცემული. ფრანი უკულოდ ვერ გაფრინდება. კულის გაკეთება კი 100-125 სმ. სიგრძის ნაჭრის ან ნეჭის, ხრალის ლენტვიდან უნდა გააკეთოთ. გაშვების წინ ადვირი ორ ადგილას დაამაგრეთ და "ბერი" ქარის საწინააღმდეგოდ აუშვით ცაში.

ბრტყელი ფრანის გასაკეთებლად (ნახ. 2) 0,5X0,5 კვეტის ფიჭვის ორი ლარტყა დაგჭირდ-




ებათ, ერთი 50 სმ. სიგრძის უნდა იყოს, მეორე – 30 სმ. ლარტყეების ნაცვლად შევიძლიათ ტირიფის ან თხილის ასეთივე სისქის წკნელები გამოიყენოთ. ლარტყეები საგულდაგულოდ გაასუფთავეთ ზუმფარით ან შუშის ნატეხით, მერე გადააჯვარდინეთ და ფრანის ჯვარედინ (ნახ. 2 ა) მზად იქნება. ამის შემდეგ გონიოს მეშვეობით ლარტყეების პერპენდიკულარობა შემოწმეთ: გახსოვდეთ, კუთხეები აუცილებლად მართი უნდა იყოს.


ლარტყეების ბოლოებზე 1 სმ. მოშორებით ჯაყვა დანით პატარა წრიული ნაჭდეგები გააკეთეთ. მერე, ძაფით შეაერთეთ ლარტყეების ყველა ბოლო (აბ, ბგ, დ წერტილები). ძაფები ისე დაამაგრეთ, როგორც 2 დ. ნახატზეა მოცემული. ახლა ფრანის გადასაკრავის მომზადებას შეუდგეთ. კარკასი ქაღალდის ფურცელზე დადეთ და კონტური შემოხაზეთ, ოღონდ 1-1,5 სმ. სიგანის ნამეტები დატოვეთ. გადასაკრავი გამოჭერით, ნამეტ ზოლებზე წებო წაუსვით და კარკასს შემოაკარით. წებო რომ გაშრება, მაგარი, ხასურველია 0,1-0,2 სმ სისქის გრეხილი კანაფისგან გააკეთეთ აღვირი. აღვირის სიგრძე კი ასე განსაზღვრეთ: კანაფის ერთი ბოლოდ წერტილზე დაამაგრეთ და აწერტილამდე, მერე კი აწერტილამდე გაჭიმეთ და აქვე მიაბით. მეორე ბოლო აწერტილში დაამაგრეთ, აღნიშნეთ მასზე მანძილი ა და აწერტილებს შორის




გარსაკრის თარგი



კარკასი



გარსაკრის თარგი



კარკასი

და კიდევ 10 სმ. მიუმატეთ. კანაფის ეს ბოლო პირველი ზონრის შუა ადგილზე გამოებით, ბოლოში კი ყულფი გაუკეთეთ (ნახ. 2 დ). გრძელი ზონრის ორივე ნახევარი ტოლი უნდა იყოს, თორემ ფრანი იქით მხარეს გადაწვება, რომელზეც აღვირი მოკლე იქნება.

ბ წერტილში ძაფი გამოებით და კუდის დასამაგრებელი ყულფი გაუკეთეთ. კულფს შევსებთ კლიათ 3-4 მ. სიგრძის წვრილი კანაფისა გააკეთეთ. ერთ ბოლოს 2 სმ. სიგრძის წვრილი ჯოხი გამოებით, მეორეს კი ერთმანეთისგან თანაბარ მანძილზე რამდენიმე ქაღალდის ბაფთა მიამაგრეთ. 2 დ. ნახატზე ნაჩვენებია, როგორ უნდა მიამაგრეთ კუდი ფრანს. ასეთივე მომცრო ჯოხი უნდა გამოებათ ძაფსაც, რომლითაც ფრანს გაუშვებთ (დვერი), გაუყარეთ იგი აღვირის ყულფში და ფრანიც მზად იქნება გასაფრენად.

გთავაზობთ კიდევ ორი მარტივი ფრანის კონსტრუქციას.

თვეში ფრანის კარკასისთვის ხის სამი ლარტყა დაგჭირდებათ. თარგი კარკასს გადააკარით და წებოთი დააწებეთ. აქვე გთავაზობთ თარგის ნიმუშს. გამოებით ფრანს 1,5 მ. სიგრძის "კუდი" და მისი მედელობაც უზრუნველყოფილი იქნება.

ასევე მარტივია კიდევ ერთი ფრანის "კლოუნის" კონსტრუქცია. აიღეთ სქელი თეთრი ქაღალდის ფურცელი, დახაზეთ იგი ისე, როგორც ნახატზეა ნაჩვენები და ზედ კლოუნი დახატეთ. ხის ლარტყეებისგან გააკეთეთ კარკასი, გამოჭერით კლოუნი და კარკასზე დააწებეთ. კლოუნს ხელ-ფეხზე მსხვილი ძაფის ან წმინდა კანაფის კვანძები გამოებით, მერე "კუდიც" მიაბით და თქვენი კლოუნი გასაფრენად მზად იქნება.

გასული წლის ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენის გამოვლენა კართულ სპორტულ ჟურნალისტებს ამჯერად არ გასჭირვებიათ. და ეს სულაც არ იყო გასაკვირი — ვინ გაუწევდა სერიოზულ კონკურენციას პლანეტის 1997 წლის უძლიერეს მოკრივეს მოყვარულთა შორის ყველაზე პრესტიჟულ — ზემბიმე წონით კატეგორიაში?! ამიტომაც დაასახელებს ასე ერთსულსავე პირველ ნომრად 23 წლის ვარაიანელი გოლიათი გიორგი კანდელაკი.

იმის გათვალისწინებით, რომ გიორგის ერთი წლის მიტოვებული ჰქონდა კრივი და მხოლოდ სამიოდე კვირის ნავარჯიშებმა მოიპოვა ქალაქ ბუღაპეშტში მსოფლიოს ჩემპიონობა, ეს შედეგი შეიძლება უნიკალურად ჩაითვალოს.

— გიორგი, ჩვენი ჟურნალის მკითხველების და თანამშრომლების სახელით გილოცავთ საქართველოს გასული წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებას.

— დიდი მადლობა. ეს წოდება ნამდვილად ძალიან საპატიოა ჩემთვის. გულწრფელად მსიამოვნებს თქვენი მკითხველების მოლოცვა. მინდა იმედი ვიქონიო, რომ ჩემი მიღწევა მოგ მათგანს მაინც აფიქრებინებს, კრივი დაიწყოს ვარჯიში. ჩემს მიერ ჩამოყალიბებულ კლუბში სწორედ მათ გოლბიჭებს ვამეყიადინებ.

— ბოლომდე თუ გაქვთ გაცნობიერებული, რომ ამ გამარჯვებით, რომ იცხვიან, თავდაყირა დააყენეთ საყოველთაო მსხედლება შეჯიბრებისთვის მოკრივეთა სანგრძლივი მომზადების

სპორტის ვარსკვლავები

გიორგი კანდელაკი:

სიღნეიმდე ჯერ დიდი ღრმა...



აუცილებლობაზე?

— არ ვიცი, მე ასე ვფიქრობ, თუ სპორტსმენს ნიჭი, საკმაო გამოცდილება და გამარჯვებისკენ სწრაფვა გააჩნია, მოკვლედიანი სრულფასოვანი მოსამზადებელი შეკრების შემღებაც შეუძლია წარმატების მიღწევა.

— გიორგი, ერთი პირობა თქვენ რინგიდან წახვედით, მერე კი მოულოდნელად დაბრუნდით. მაინც, რამ განაპირობა დაბრუნება?

— ძირითადად ეს ჩემი მეუღლის ნინო ყანჩაველის დამსახურებაა. ჩვენ რომ შევეუდლით, კრივისთვის თავი დანებებული მქონდა და მხოლოდ ნინოს დაკინებული თხ-

ვით დაეწიე კვლე ვარჯიში.

— ეს იგი, ნინო კრივის გულმგამაკვიარია?

— ის ჩემი გულმგამაკვიარია.

კარგად იგრძნო, როდენ დიდი ადგილი უკავია კრივის ჩემს ცხოვრებაში.

— ბუღაპეშტში თქვენ ხუთი ორთაბრძოლა გამართეთ. რომელს აღნიშნავდით განსაკუთრებით?

— ნახევარფინალურ ორთაბრძოლას ბელორუს მოკრივესთან და, რა თქმა უნდა, ფინალს — კუბელ რუბალკასთან. კუბელების სკოლა უძლიერესია სამოყვარულო კრივში. 1993 წელს ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში სწორედ ამ სკოლის წარმომადგენელთან, ლეგენდარულ ფელქს სავონთან დამარცხდი. იგივე განმეორდა ატლანტის ოლიმპიადამე. ამიგომ კუბელებთან მე ჩემი პირადი ანგარიში მაქვს და რუბალკას დამარცხებით თავისებური რევაში ავიღე.

— რაღა დავიმალთ და, ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ თქვენ ამ გოლიათის სძლევედით...

— რუბალკაღა ნამდვილად ღირსეული მეტოქე იყო — ფიზიკურად ძლიერი, ჩემზე მაღალიც და 20 კილოგრამით მძიმეც, მაგრამ, მაინც მოვახერხე ჩემს "ჭკუაზე მომეყიდა", საკუთარი სტილი მოვახვიე თავს და გავიმარჯვე.

— ეს გამარჯვება, ალბათ, ქართული კრივის ისტორიაში უმაღლესი მიღწევაა. საინტერესოა, როგორ შეაფასებდით კრივის ღვევანდელ მღვთმარებობას ჩვენს ქვეყანაში?

— ეს რომ რამდენიმე წლის წინ გკითხბათ, ვიპასუხებდით, მღვთ-

მარეობა კატასტროფულია-მეთქი. საოცარია, 1993 წლის მიღწევების შემდეგ (ამ წელს ქართველმა მოკრივეებმა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე 6 მედალი მოიპოვეს - აბ.) რატომღაც, სპორტის ამ სახეობას ყურადღება მთაკლეს და ფინანსური დახმარებაც შეუწყვირეს. ამ ვარეობებამ უნდა იმოქმედა შედეგებზე. 1995-96 წლები დიდი "ჩაერღნით" აღინიშნა...

- სწორედ მაშინ გადაწყვიტა მოგიერთმა თქვენმა კოლეგამ ბედის საძიებლად სამღვარვარეთ წასვლა. ასე აღმოჩნდა, მაგალითად, პაპაგა გვასალია რუსეთში, რამაზ ფალიანი - საბერძნეთში. თქვენ კი არ გიფიქრიათ სხვა ქვეყანაში წასვლა, სადაც წერტონის უკეთესი პირობებიც გექნებოდათ და მაგერიალურადაც გაცილებით უკეთ იქნებოდათ უბრუნელებოლი?

- სხვების ვაკიცხვას არ ვაპირებ. ყოველი აღაბიანი თვითონვე აგებს პასუხს სკუთარ არჩევანზე. ჩემს არჩევანს რაც შეეხება, საქართველოდან კი არა, ჩემი მშობლებური სოფლიდანაც კი არსად ვაპირებ წასვლას... მაგრამ, მოდით, ქართულ კრიემი არსებულ ღღევანღელ მღგომარეობას დაეებრუნღეთ. სასიკეთო ძერები ნამღვიღად იღრძნობა. ფინანსირების მცირეოღენი წყაროც გაჩნღდა. კრიემი ახალი ნიჭიერი თაობა მოვიღდა. შეღდეგებღაც არ ღააყოენა. მაგრამ, ღარწმუნეული ვარ, ძირითადი შეღდეგები, მთავარი გამარჯვებები წინა გეპქეს.

- ამ გამარჯვებებში ღირსეულ წვლილს, ალბათ, ის ნორჩი მოკრივეებიც შეიგანენ, თქვენს მიერ ღაარსებულ სპორტულ

კლებში რომ ვარჯიშობენ. უფრო მეტი გვიამბეთ მათზე.

- კლებ "ჩემპიონში", რომელიც 1996 წლიდან ფუნქციონირებს, კრიემის ოსტატობას ღღესღღობით 120 ბიჭი ეუფლება ვარიანიღან და მეზობელი სოფლებიღან. ისინი პაგარა საწერტნელ ღარბაბში ვარჯიშობენ, რომელიც ვარიანის კულტურის სახლის შენობაში გემოგვიყვეს. მართალია, არც გათბობა გეპქეს, არც შხაპი, სპორტული ინვენტარიც ძალზე მწირია, მაგრამ, საკმარისია, ერთხელ მაინც მოხვეღეთ ჩვენს კლებში, ნახოთ, თურა ენთუშიამშით ვარჯიშობენ ბიჭები, რომ ირწმუნოთ - მათ შორის XXI საუკუნის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები და პრიზიორები არიან.

რამღენიღე თვის წინ ჩევიღე/ ძალებით ახალი სპეციაღღიღეული სპორტული ღარბაბის გეგუნღეღეღე/ წყეუ. საძირკველი და ძირითადი კონსტრუქციები უკვე მზაღდა. ფული თუ გვიყო, ამ მათუზღღე ყვეღაღეღერს ღღეამთავრებთ...

- გიორგი, თქვენი მეღღების მიღღარ კოლექციას ერთი უზაღღესი ჯიღღოღა აკლია - ოღმიშიური ოქრო. მის მოპოვებას არ გეგვამეთ?

- ენახოთ, ამამე ღაპარაკი ნააღრვეია. მომღღენო ოღმიშიაღა სომ მხოლოღ 2000 წელს გაიმაღრებღა, ისე რომ, სიღენიღე ჯერ კიღვე დიდი ღროა...

ესაუბრა
არჩილ ბეჰანიშვილი
აგტორის ფოტო



ჰომეროს პრაისის თავგადასავლები

(რამდენიმე თავი პრცელი მოთხრობიდან)

ფუნქულების ავტორი

ეს ამბავი ნომერში მოხდა, ერთ-ერთ პარასკევს, საღამოს. მაგრამ, ჯერ პომეროსმა გაიგონა, როგორ ელაპარაკებოდა დედა გუელფონთი აგნესა დედას, ძია ოდისევსის ცოლს, იმ ძია ოდისევსისა, ქალაქ სენგერბერგის ცენტრში მაგარა კაფე რომ ჰქონდა. დედამ უთხრა, ნახევარ საათში გამოვივლი და კრებამე ერთად წავიდეთო. რა კრებამე?! ნუთუ აგნესას დაავიწყდა, რომ დღეს ქალთა კლუბში მათი საქმიანობის განხილვა უნდა შედგეს, გარდა ამისა, ჭრა-კერვისა და ქსოვის წრეების მეცადინეობაც დღეისთვის არის დანიშნული?..

დედამ ყურმილი რომ დაღო, პომეროსმა უთხრა:

– შეიძლება, მეც შენთან ერთად წამოვალ, ოღონდ ძია ოდისევსთან დაერჩები და იქ იქნები, ვიდრე შენ და აგნესა დედა თქვენი გეგმების განხილვას მორჩები.

დედამ ნება აღართო. და მას შემდეგ, რაც პომეროსმა ორივე ხელით დაიკეცა ჯაგარა თმა, დედამ კი შეაშოშოლა. ჭრა-კერვის სახელმძღვანელო ხომ არ მრჩებოა, ისინი მანქანაში ჩასხდნენ და ქალაქში წავიდნენ.

ძია ოდისევსის კაფე ქალაქის ერთადერთ მოედანზე მდებარეობდა, მუსკად სასამართლოს პირდაპირ. თვითონ ძია ოდისევსი მოწინავე მეცნიერული შეხვედრების კაცი იყო და ყველაზე მეგობარ ამ ქვეყნად გექნიეროს სიახლეები უყვარდა. ამიტომაც, მისი კაფე ათასნაირი ავტომობილი მოწყობილობით თუ დანადგარებით იყო გაჭვდილი. აქ ნაფიცობის ვასახუხი ავტომობილი იყო, ყაყის მოსადრელებელი ავტომობილი, ჭურჭლის სარეცხი ავტომობილი და ფუნქულების

დასამზადებელი ავტომობილი.

აგნესა დედა ნაკლებად ენდობოდა გექნიეროსს და ძია ოდისევსის მიერ დანერგილ ყოველ სიახლეს ხელების სახეებითა და ოხერით ხელმძღვანელობდა. შეიძლება გადაუჭარბებულად ითქვას, რომ ხელები მას თითქმის სულ მალა ჰქონდა აწვეული და პაერშიც თითქმის განუწყვეტელი ისმოდა მისი ოხერა.



ამოთხერასა და ამოთხერას შორის კი აგნესა დედა ქმარს ღანძლავდა, უკეთესი იქნებოდა, საპარიკმახეროში უფრო იშვიათად გვევლო შენს ძმაკაცებთან სალაქლაქოდ, მაშინ არც ამ ოხერ ავტომობილებსა და ნახევარავტომობილებზე დახარჯავდი ამდენ ფულს, ემაკასაც წავუღია, უსაქმურებს უფრო მეტი უსაქმურობის საშუალებას აძლევსო...

მაღე მანქანა სენგერბერგში შევიდა და პომეროსის დედამ ძია ოდისევსის კაფესთან გააჩერა იგი. იქიდან მაშინვე გამოიწვია აგნესა დედა და როგორც ყოველთვის, შესძახა:

– დემერთო ჩემო! როგორ გამრიდოდა ეს ბიჭი!

უკანასკნელად ეს სიტყვები მან

ორი კვირის წინ თქვა. აგნესა დედა მანქანაში ჩაჯდა და პომეროსის დედასთან ერთად კრებამე წავიდა. პომეროსი კი კაფეში შევიდა.

– გამარჯობა, ძია ოდისევსი...
– ა, დისწული, რომ იყოლე, რა კარგ დროს მოხვედი, – უთხრა ოდისევსმა, – მოელი საათია ამ ფუნქულების ავტომობილს დაერჩი... ვაწყობ, ვმოდ, ვმწმენდ... აუპ, რა მაგარი რამეა!

– ჰო, – დაეთანხმა პომეროსი, მერე ჩვარი აიღო და ლითონის შერონაკერის, ფეხების, სხვადასხვა ჭოკების, კილიანების, ცილინდრების და ღარების წმენდა დაიწყო. ძია ოდისევსმა ამასობაში გასაშლელი ქანჩის გასაღები მოიმარჯვა და მანქანის შიგნულში დაიწყო ჩხიკინი.

– ოპ, – თქვა მან ბოლოს, – მოდი, იცი რა, პომეროს... მე ვიცი,

შენ კარგი გექნიერო ალღო გაქვს... აი, ამ დედალებს ხომ ხედავ?... აზრზე არა ვარ, სად უნდა ჩაეხრახნო, ვერ გამოვიცა, შედმეგია თუ რა? ერთი, ნახე რა... მე კი ორი წუთით საპარიკმახეროში შევიბრუნე, შერიფი უნდა ენახო, რაღაც უნდა უთხრა... შენ რამენაირად უჩემოდ ააწყვე მანქანა, კარგი?... თუ ვინმე შემოვა, ყავა დაალევი. შენ ხომ აქ ყველაფერი იცი...

მერე კი უკვე კარიდა გამოსძახა:

– ჰო, მართლა, კინაღამ დაპაიწყდა, პომეროს... მაგას რომ ააწყობ, იქნებ ფუნქულებისთვის ცომი მოგმიწვია, მე გმორი, არ უნდა გავიჭირდე? რეუკები აი აქა დეცს, კარადაგე... მერე ცომი მანქანაში ჩაასხი... აგე, იქ, ხომ იცი, სადაც...

მერე ამ ლიდაკს დააჭერ და მორჩა... ფუნწულების პატარა მარაგი დაგვეგროვოდა. კარგი?

- კარგი, - უპასუხა პომეროსმა, - დარდი ნუ გკაწიებთ, ყველაფერს გააკეთებ...

ძია ოლისივესის წასვლიდან ხუთიღო წუთის შემდეგ კაფემი უცნობი მამაკაცი შემოვიდა.

- გამარჯობა, ბიჭო.

პომეროსი ამ დროს ბოლო დეკალის მორგებას ცდილობდა, ადგილის მორგებნა და ახლა უნდა ჩაეხრახნა.

- გამარჯობათ, სერ, - უპასუხა მან, - რას ინებებ?

- ფინჯან ყავას დაველდი და რამდენიმე ფუნწულასაც შევჭმდი, - უპასუხა სტუმარმა.

- სამწუხაროდ, მისტერ, ფუნწულები ნახევარ საათზე ადრე არ იქნება. ჯერ ცომაა მოსამელი, მანქანავე ასამუშაებელია. ჯერჯერობით შემობნა ტკილი ფუნწულები შემოგთავაზოთ. ისინივე გემრიელია.

- კარგი, არსად შეჩქარება, - უთხრა კაცმა, - ფინჯანი ყავა დამისხი, ფუნწულებს კი დაველოდები, ცხელ-ცხელ ფუნწულებს რა ჯობია.

პომეროსმა ყავის ავტომატიდან ყავა ჩამოასხა.

- მომწონს აქაურობა, კარგია, - განაცხადო სტუმარმა და თათბი მოათვალიერა, გეჟინკურ სიახლეებსაც შეავლო თვალი.

- ჰო, არა უშავს, - დაეთანხმა პომეროსი, - ძალიან კარგი ავტომატებია!

- ალბათ, კაფეს პატრონს საქმე კარგად მიუღის? - ჰკითხა უცნობმა და ყავა მოსვა, - მეც საქმიანი კაცი ვარ. სენდვიჩებთან მაქვს საქმე. რომ იყოლე, ასევე მეზახიან - აღამიანი-სენდვიჩი. ბევრს მივდი-მოვდივარ, ხშირად მიწვევს მოგზაურობა. ისე კი, გაბა მექია.

- ძალიან სასიამოვნოა, მისტერ გაბი, - უთხრა პომეროსმა და თითონაც გაეცინო, - მოხარული ვარ თქვენი გაეცინოს... ალბათ, ძალიან საინტერესოა მოგზაურობა და საკუთარი სენდვიჩების რეკლამირება.

- სულაც არა, - თქვა მისტერ გაბიმ, - მე არანაირ სენდვიჩებს არ ვაკეთებ... პირიქით, ჩემვან აკეთებენ სენდვიჩებს... წინიდან რაიმე რეკლამას ჩამოშკიდებენ, ერთსაც

უკნიდან... უშავს კი მე ვარ... გასაგებია? ერთი სიტყვით, სენდვიჩით ვარ ხილმე...

- გავიგე, - უთხრა პომეროსმა. მას უკვე მოეძებნა შექვილი და საფუარი, - მაგრამ სულ ერთია, მაინც საინტერესოა... რამდენს დალიხართ...

- კარგი ბევრს, - თქვა მისტერ გაბიმ, - ფესითაც და მაგარებლითაც, თუმცა, უფრო ხშირად, საბარგოთი... სახურავზე... გასაგებია?

- დიას, - უპასუხა პომეროსმა, - ოღონდ, ალბათ, ძალიან სამიშია, არა?

- ნეგაე დღეს რაღა არ არის სამიში? რითაც არ უნდა მგზავრობდე, ავარიას მაინც უნდა ელოდო. თუნდაც თვითმფრინავი ავილო. გასაგებია?

ის იყო, პომეროსს უნდა ეთქვა, დიას, გასაგებიათ, რომ უკერძო კაფეს კართან რკინიგზის ბაქინითი უმარამზარი დილეგული მგვი ავტომანქანა გაჩერდა. მძლოლი გადმოხტა და უკანა კარი გააღო. მანქანიდან ქალი გადმოვიდა. მძლოლი და ქალი კაფემი შევიდნენ და ქალმა თქვა:

- გვინდა ცოტა წავიხეშოთ. ყავა და ფუნწულები თუ შეგიძლია?

პომეროსმა უპასუხა, სიამოვნებით მოგართმევით, მაგრამ, სამწუხაროდ, ცომის მოშლას ახლა ვიწყებ და ეს მანქანაც ჩასართყვლია... ისე რომ, ყავა შეგიძლიათ თუნდაც ახლავე მიირთვათ, ფუნწულებსა კი რა მოგახსენოთ...

- რა კარგი და ჭკვიანი ბიჭია! - შესძახა ქალმა, - საოცარია, ისევე იცის, ფუნწულები როგორ უნდა გაეკეთოს.

- არა, მაინცდამაინც არ ვიცი, - დაიწყებინა პომეროსმა, - დღემდე არასდროს გამეკეთებია, მაგრამ ძია ოლისივესის რეცეპტი აქვს ჩაწერილი.

- აჰ, ჩემო ბიჭო! - შეჰყვირა ქალმა, - გემულარები, ნება მომივცე, დავემზარო... ათასი წელია, ფუნწულები აღარ გამეკეთებია, - მას შემდეგ, რაც გავემდიდრე... არადა, ისეთი საუცხოო რეცეპტი ვიცილი... გადასარევი... ნება მომივცე, ჩემი საკუთარი რეცეპტით მოვიწვი ცომი?!

- კი, მაგრამ, მე არ ვიცი... ძია ოლისივესა...

- ჩემს ფუნწულებს რომ იგე-

მებთ, სულ სხვანაირად აჭიკჭიკებთ!... რაიმე წინსაფარი მომივცე, რას უღებხარ!

დილეგული მანქანის პატრონმა დილეგული მეწვის ქურჭი გაიხალა, მერე მოისხნა საათი, სამაჯურები, ბუჭღები წაიძრო და კაბის სახელოები დაიკაშიწა.

- ჩარღო, - მიმართა მან მძლოლს, - საფუარი მომაწოდეთ... ასე. შენ კი, ყმაწვილო, ჯავში დაძებნე, თორღმე გექნებათ!

ჩარღოსა და პომეროსს ამოსუნთქვის საშუალებაც კი აღარ ჰქონდათ. სულ რაღაც მოჰქონდათ, მიჰქონდათ, აწვიდნენ, ურევდნენ, თქვეფდნენ არ აყრიდნენ, არც თვითონ ქალი იყო უსაქმოდ. მარტო აღამიანი-სენდვიჩი, მისტერ გაბი იჯდა მშვილად სკამზე, ყავას შეეჭვივლა და ინტერესით დავეწვდებოდა თვალს ყველაფერს, რაც იქ ხდებოდა. საბრალო, ალბათ, არც ისე ხშირად ყოფილა ასე უმრუფელო.

- ესეც ასე! - თქვა ქალმა, როცა ყველაფერი ბოლოს და ბოლოს, არეკული, ათქვეფილი და მოყრილი იყო, - ცომი მზად არის. ახლა მანქანა ჩართე და თქვენ ნახაეთ, რისი გაკეთება შემეძლო, ვიდრე გაემდიდრებოდით.

- ვაიმე, მგონი რაღაც მეცისმეტად ბევრი ცომი გამოვიდა! - თქვა პომეროსმა, - არასდროს არ მინახავს, ცომი ასე აუგუწვდილს.

- ყველაფერი რეცეპტზეა დამოკიდებული, - უპასუხა ქალმა. პომეროსს სკამზე ავიდა და მძლოლთან ერთად დაიწყო ფუნწულების ავტომატში ცომის ჩასხმა. მერე იატაკზე ჩამოხტა და ავტომატის იმ ლიდაკს დააჭირა ხელი, რომელსაც "გამევა" ეწერა. და მანქანა ამუშავდა. მის შიგნით ცომის რგოლები იგვეანებოდა და ერთი მუროსი მიყოლებით ცვიდა მუთომოსმულ გაფაში. იქვე ცალ მზარეს იბრაწებოდა, მერე გადაბრუნდებოდა და მზა პროდუქცია დარბი სხდებოდა. იქიდან კი ფუნწულების მიმღებში გორდებოდა.

პომეროს პრაისის თანამდებარეობები

სამხრეთში
პარლამენტის
პროცესი

პომეროს პრაისის თავგადასჯლები

— რა კარგი მანქანაა, — თქვა ქალმა, როცა პირველი ფუნწულა დაკრძამ გამოხატა და ყუთის ფსკერზე დაეცა, — გაღასარევი რამეა. აუცილებლად ვიყიდი ათას ასეთ მანქანას...

მან პირველი ფუნწულა აიღო და პომეროს გაუწოდა, დანარჩენები კი მძღოლსა და მისგერ გაბის ჩამოურთავა, თან ყველა მათგანს ეკითხებოდა:

— ხომ გემრიელია? მე მგონი, საუსებოა!

და ყველა ეთანხმებოდა, იმიტომ, რომ ფუნწულები მართლაც დიდებული იყო.

— ჩვენი ოჯახის ძველი რეკეტი, — სიამაყით თქვა ქალმა, — მთავარი ცომის მომელაა.

პომეროსმა უფროსები ყვეა მიართვა. თავისთვის კი რძე დაისხა, ყველანი დახლთან ჩამოსდნენ და საამოვნებო შეექცეოდნენ. მაგრამ აი, ქალი წამოიღდა და გამოაცხადა, ჩვენი წასვლის დროა.

— აბა, შენი წინსაფარი აიღე, ბიჭო, — უთხრა მან პომეროსს, — პაკეტი ერთი ოცი ფუნწულა ჩაღე, თან წაიღებ... ჩარღმ, ფულის გადახდა არ დაგავიწყდეს.

